1955

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 6 (69) 29 ნოემბერი 1955 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი.

1. ამხ. ა. ნ. ვართაპეტოვის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

2. ამხ. ამხ. დ. ი. გიორგაძის, შ. კ. მახარაძის, გ. ი. ლომიძის და ვ. გ. მამალაძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

3. ბრძანებულება ამხ. ს. ვ. დურმიშიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან.

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. გ. ქერჩქაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.

6. საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონის მე-6 მუხლისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 21 სექტემბრის № 2457 დადგენილების მე-3 კარის პირველი პუნქტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ აბაშის, კასპის, მაიაკოვსკის და მცხეთის რაიონებში.

8. „ეშრომელთა სარიგრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 27 ივნისის დადგენილების არადამაკმაყოფილებლად შესრულების თაობაზე.

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-26 მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

10. ბრძანებულება თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრისათვის ს. გ. შაუმიანის სახელის მიკუთვნების შესახებ.

ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ამხ. ა. ნ. ვართაპეტოვის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ვართაპეტოვი აშოტ ნიკიტას-ძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 20 ოქტომბერი.

2. ამხ. ამხ. დ. ი. გიორგაძის, შ. კ. მახარაძის, გ. ი. ლომიძის და ვ. გ. მამალაძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

1. დაშვებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად: გიორგაძე დავით ილიას-ძე, მახარაძე შალვა კირილეს-ძე, ლომიძე გობრონ ივანეს-ძე და მამალაძე ვლადიმერ გერასიმეს-ძე.
2. ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 20 ოქტომბერი.

3. ბრძანებულება ამხ. ს. ვ. დურმიშიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. სერგი ვასილის-ძე დურმიშიძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 2 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. გ. ქერქაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად

დანიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 2 ნოემბერი.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვის სექტორის ბაზაზე.

2. შეიქმნას აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილება, აგრეთვე საქალაქო აღმასკომების (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილებანი და გაუქმდეს არქიტექტურის საქმეთა არსებული სამმართველოები და განყოფილებანი.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიის განსახილველად შეტანილ იქნას წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50, 72, 81 და 104 მუხლებში სათანადო ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 2 ნოემბერი.

6. საქართველოს სსრ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. დ. გ. მამამთავრიშვილის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდიუმის წევრის ამხ. ნ. ა. ჯავახიშვილის თანამოხსენება რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ უკანასკნელ ხანში გაწეულია გარკვეული მუშაობა სოფლის მოსახლეობის კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ყოველწლიურად იზრდება სასოფლო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელი, რომლებიც ძირითადად უზრუნველყოფილი არიან კვალიფიციური კადრებით, აგრეთვე საკრო მოწყობილობით, ინვენტარითა და მედიკამენტებით.

მაგრამ ამასთანავე ერთად სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დარგში ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ბევრ რაიონში მთლიანად არ არის დაკომპლექტებული საექიმო პერსონალის შტატი. მაგალითად მაიაკოვსკის რაიონში ექიმის 3 ვაკანტური ადგილია, თერჯოლის რაიონში — 4; ზნაურის რაიონში — 5; დმანისის რაიონში — 10 ადგილი. ჯერ კიდევ ადგილი აქვს ექიმების შეთავსებით მუშაობის ფაქტებს.

სოფლის სამკურნალო დაწესებულებების ნორმალურ მუშაობას ძლიერ უშლის ხელს რიგ რაიონში სათანადო შენობების უქონლობა. რესპუბლიკის 327 სასოფლო საავადმყოფოდან 189 საავადმყოფო მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, რომლებიც შეცვლას მოითხოვენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამკურნალო დაწესებულებების შენობათა უმეტესობა მოძველებულია და შეკეთებას მოითხოვს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის კაპიტალურ რემონტზე გამოყოფილი თანხები უმნიშვნელო რაოდენობით იხარჯება. 1955 წელში კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი 11.641.000 მანეთიდან 1 ოქტომბრისათვის ათვისებული იყო მხოლოდ 7.140.000 მანეთი, ანუ 61,3%, ხოლო კაპიტალური მშენებლობის 1955 წლის გეგმა 1 ნოემბრისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 65,0%-ით.

სასოფლო სამკურნალო დაწესებულებები არასაკმაოდ არიან უზრუნველყოფილი სამკურნალო-დიაგნოსტიკური მოწყობილობით, განსაკუთრებით რენტგენისა და ფიზიო-თერაპევტიული აპარატებით, კბილის სამკურნალო ინსტრუმენტებით, აგრეთვე მაგარი ინვენტარით.

სოფლის მოსახლეობის ნორმალურ სამედიცინო მომსახურებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს ავადმყოფების გადასაყვანად და ავადმყოფებთან ექიმების მისაყვანად საჭირო რაოდენობის ავტოტრანსპორტის უქონლობა. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანობები, აგრეთვე კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები არ ეხმარებიან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ამ საქმეში.

სასოფლო საავადმყოფოების უმრავლესობა საკმაოდ არ არის დატვირთული, რაც აიხსნება სტაციონარულ დაწესებულებებში ავადმყოფთა მკურნალობასა და მოვლა-პატრონობისათვის საჭირო პირობების უქონლობით. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია სტაციონარებში ავადმყოფთა კვება. რაიონული და სოფლის საავადმყოფოები არ არიან უზრუნველყოფილნი კვების აუცილებელი პროდუქტებით, რის შედეგადაც ავადმყოფთა კვებისათვის გამოყოფილი თანხები სისტემატურად აუთვისებელი რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლოვანებებს ადგილი აქვთ სამშობიარო სახლების მუშაობაშიც. მიუხედავად იმისა, რომ სამშობიარო სახლების და საფერშლო-საბებიო პუნქტების ფართო ქსელია, ისინი მაინც ვერ იტვირთება, რადგანაც ხშირად მშობიარობა ოჯახში ხდება. ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი დმანისის, ზნაურის, მაიაკოვსკის და რიგ სხვა რაიონში.

ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთმა რაიონულმა განყოფილებამ ვერ გაშალა სათანადო მუშაობა სოფლის მოსახლეობის პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმებისათვის და ვერ უზრუნველყო მათდამი საჭირო დისპანსერული მეთვალყურეობა.

რიგი რაიონული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგური არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, რის შედეგადაც ამ რაიონებში დასახლებული პუნქტები და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებანი ანტისანიტარულ მდგომარეობაში არიან.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. დ. მამამთავრიშვილი) მიიღოს საჭირო ზომები სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) დროულად და მთლიანად უზრუნველყოს სოფლის მოსახლეობა კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით, აამაღლოს დიაგნოსტიკისა და ავადმყოფთა მკურნალობის ხარისხი, მიაღწიოს ამ საქმეში მაღალხარისხობრივ მაჩვენებლებს;

ბ) მიიღოს საჭირო ზომები ინფექციურ დაავადებათა შემდგომი შემცირებისათვის, გეგმით გათვალისწინებულ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების გზით;

გ) უზრუნველყოს 1956 წლის დასაწყისისათვის რაიონული და სასოფლო სამკურნალო დაწესებულებები საექიმო კადრებით, ამასთან ლიკვიდაცია უყოს არასწორ პრაქტიკას, როდესაც ერთი ექიმი მუშაობს შეთავსებით რამდენიმე ადგილზე;

დ) უზრუნველყოს სასოფლო სამკურნალო დაწესებულებები სამკურნალო-დიაგნოსტიკური მოწყობილობით; უზრუნველყოს რაიონულ საავადმყოფოებში კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიების, რენტგენო და ფიზიოთერაპევტიული კაბინეტების შეუფერხებელი მუშაობა; მოაწყოს 50 მსხვილ საუბნო საავადმყოფოში კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიები და ფიზიოთერაპევტიული კაბინეტები;

ე) გააუმჯობესოს და გააფართოოს მუშაობა სოფლის მოსახლეობის — კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების დისპანსერიზაციის საქმეში, მიაღწიოს მათი დაავადმყოფებისა და შრომისუნარის დაკარგვის სისტემატურ შემცირებას;

ვ) მაქსიმალურად გაზარდოს საავადმყოფო საწოლების დატვირთვა, მიაღწიოს თვითეული საწოლის გამოყენებას არანაკლებ 310 დღეს წელიწადში;

ზ) უზრუნველყოს მასიური პროფილაქტიკური (კომპლექსური) გასინჯვის გზით ტუბერკულოზით, ვენერიული სნეულებით და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულთა დროული გამოვლინება და მათი სათანადო მკურნალობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) გაუმჯობესოს სამშობიარო სახლებისა და ქალთა კონსულტაციების მუშაობა, გაძლიეროს ორსულ ქალების პატრონაჟი და მიაღწიოს სახლში მშობიარობის შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას;

ი) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დოკუმენტაციის აღრიცხვისა და ანგარიშგების ხარისხს, სტატისტიკური მონაცემების სისტემატურ ანალიზს და მის გამოყენებას სამკურნალო დაწესებულებების პრაქტიკულ მუშაობაში;

კ) მიიღოს საჭირო ზომები რესპუბლიკის სოფლებში სანიტარული მდგომარეობისა და რაიონული სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების მუშაობის გასაუმჯობესებლად: მოაწყოს ყველა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურთან სანიტარიულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები; უზრუნველყოს გამაფრთხილებელი და მიმდინარე სანიტარიული ზედამხედველობა იმ სამუშაოზე, რომელიც ტარდება სოფლის დასახლებული პუნქტების სანიტარიული კეთილმოწყობისათვის და ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსური გეგმების შესასრულებლად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის და საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს (ამხ. ამხ. მამამთავრიშვილი, ჯაბო) უზრუნველყონ რაიონული და სასოფლო სავადმყოფოების 1955 წლის მშენებლობის გეგმის აუცილებელი შესრულება.

3. დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიონ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის საქმეში;

ბ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ რაიონულ და სოფლის საავადმყოფოებში ავადმყოფთა კვების ხარისხის გაუმჯობესებას. მიიღონ საჭირო ზომები მათი კვების აუცილებელი პროდუქტებით, აგრეთვე მაგარი ინვენტარით და ზამთრის პირობებში საჭირო რაოდენობის შეშით უზრუნველსაყოფად;

გ) გაუწიონ სამკურნალო დაწესებულებებს დახმარება ავადმყოფთა გადაყვანასა და განსაკუთრებულ საჭირო შემთხვევაში ექიმების მისაყვანად ავადმყოფთებთან, რისთვისაც გამოიყენონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, აგრეთვე სხვა რაიონული ორგანიზაციებისა და საწარმოების ტრანსპორტი;

დ) უზრუნველყონ საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობის გეგმების აუცილებელი შესრულება და მათი ნორმალური მუშაობა; არ დაუშვან საკოლმეურნეო აბანოების შენობათა გამოყენება არადანიშნულებისამებრ;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას რაიონულ ცენტრებსა და დასახლებულ პუნქტებში;

ვ) უზრუნველყონ სასოფლო სამკურნალო დაწესებულებების კაპიტალური რემონტის გეგმის აუცილებელი შესრულება;

ზ) განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება სოთლად მომუშავე ექიმებისათვის სათანადო საბინაო პირობების შექმნის შესახებ;

თ) ახალი რაიონული საავადმყოფოების მშენებლობის დასრულებისას ძველი შენობები დაუტოვონ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზური დისპანსერების მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. შ. საბანაძე) და ცეკავშირის გამგეობას (ამხ. მ. ნარსია) მიიღონ საჭირო ზომები სასოფლო სამეურნეო დაწესებულებების სისტემატური მომარაგებისათვის საჭირო რაოდენობის და ასორტიმენტის კვების პროდუქტებით.

5. რჩევა მიეცით აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეამოწმონ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა აიტონომიურ რესპუბლიკებში და დასახონ საჭირო ღონისძიებები ამ საქმეში არსებული დარღვევების სალიკვიდაციოდ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. მამამთავრიშვილი) და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1956 წლის 1 აპრილისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე — **ლ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 21 ნოემბერი.

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონის მე-6 მუხლისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 21 სექტემბრის № 2457 დადგენილების მე-3 კარის პირველი პუნქტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ აბაშის, კასპის, მაიაკოვსკის და მცხეთის რაიონებში

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების უფროსის ამხ. ჩიქვანაის მოხსენება აბაშის, კასპის, მაიაკოვსკის და მცხეთის რაიონების კოლმეურნეობებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 8 აგვისტოს კანონის მე-6 მუხლისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 21 სექტემბრის № 2457 დადგენილების მე-3 კარის პირველი პუნქტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება აღნიშნული კანონის მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ნორმების გადიდების შესახებ იმ კოლმეურნეობის წევრთა ოჯახების მიმართ, რომელთა ქალკეულმა შრომისუნარიანმა წევრებმა არასაპატიო მიზეზით არ გამოიმუშავეს 1954 წელს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

კოლმეურნეობათა გამგეობები დროულად არ უდგენენ რაიფინგანყოფილებსა და სსრკ დამზადებათა სამინისტროს რაიონებულებს იმ ოჯახების სიას, რომელთა შრომისუნარიან წევრებსაც არ ჰქონდათ გამომუშავებული შრომადღეების მინიმუმი. გარდა ამისა, სიებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების ნორმების 50 პროცენტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადიდების შესახებ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ადგენენ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე წინასწარ განხილვისა და დამტკიცების გარეშე. სიების შედგენის დროს არ არის დაცული კანონით გათვალისწინებული წესები, რის გამო დასაბეგრთა სიაში შეტანილი არიან ინვალიდები, ავადმყოფები, მოხუცები, რომელთაც არ შეეძლოთ გამომუშავებინათ შრომადღეების დაწესებული მინიმუმი. ასე, მაგალითად, სიაში იქნენ შეტანილი აბაშის რაიონის სოფ. ძველი აბაშის მალენკოვის სახ. კოლმეურნეობიდან ავადმყოფი პანტა ქოთავა, ამავე რაიონის სოფ. პირველი მაისის კოლმეურნეობიდან მოხუცები — აგრაფინა დონდოლა და ლიზა გოგიშვილი, კასპის რაიონის სოფ. ქვემო ხანდაკის კოლმეურნეობიდან პირველი ჯგუფის ინვალიდი — შალვა ვეშაპიძე. მაიაკოვსკის რაიონის სოფ. ობჩის კოლმეურნეობიდან: პ. ხაჭიპირაძე. მ. ცერცვაძე და ი. ხაჭიპირაძე, რომელთაც გამომუშავებული ჰქონდათ შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაშიც. ამავე დროს რაიფინგანებში წარგზავნილ სიებში გამოტოვებული არიან კოლმეურნეობათა ცალკეული შრომისუნარიანი წევრები, რომელთაც დაოთიერობის შედეგად არა აქვთ გამომუშავებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

შემოწმებულო რაიონების კოლმეურნეობებში 27.282 საკოლმეურნეო ოჯახიდან აირიცხულია სულ 21.943 შრომისუნარიანი კოლმეურნე. აქედან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამომუშავა 7.160. დასაბეგრთა სიაში კი შეტანილი იქნა მხოლოდ 2.159 კოლმეურნე.

მცხეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ 57 კაციდან, რომელთაც გამომუშავებული არ ჰქონდათ შრომადღეების მინიმუმი, სიაში შეიტანა 3, ამავე რაიონის სოფ. პარტიანის გორკის სახ. კოლმეურნეობის გამგეობას 101 კაციდან არც ერთი არ შეუტანია სიაში. კასპის რაიონის სოფ. იფოთის ენგელსის სახ. კოლმეურნეობის გამგეობამ 142 კოლმეურნიდან მხოლოდ 5 შეიტანა სიაში.

იმის გამო, რომ არ ხდება კოლმეურნეობათა შრომისუნარიანი წევრების ზუსტი აღრიცხვა და სუსტად არის დაყენებული კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის საქმე, არც ერთი შემოწმებული რაიონის კოლმეურნეობებში არ არის შესრულებული შრომადღეების გამომუშავების გეგმა.

აღნიშნული დარღვევები მოწმობენ იმას, რომ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომები, მტს-ები და კოლმეურნეობათა გამგეობები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობებში პარტიისა და მთავრობის დადგენილებების ზუსტად გატარებას და არ ღებულობენ საჭირო ზომებს, რომ კოლმეურნეობის თვითეულმა შრომისუნარიანმა წევრმა გამომუშაოს შრომადღეების დაწესებული მინიმუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაიკალოთ აბაშის, მაიაკოვსკის, მცხეთისა და კასპის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ა) უახლოეს დროში ყველა კოლმეურნეობაში შეამოწმონ როგორ მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-6 მუხლის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 21 სექტემბრის № 2457 დადგენილების მე-3 კარის პირველი პუნქტის შესრულება, საკითხი განიხილონ რაიაღმასკომის სხდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზე და დასახონ ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) პერიოდულად შეამოწმონ და დააწესონ მტკიცე კონტროლი, რომ სწორად იქნეს შედგენილი იმ მეურნეობათა სიები, რომელთა წევრებმაც არასაპატიო მიზეზით არ გამოიმუშავეს შრომადღეების დაწესებული მინიმუმი და უზრუნველყონ ამ სიების განხილვა-დამტკიცება კოლმეურნეთა საერთო კრებაზე;

დამტკიცებული სიები წარუდგინონ დამზადებათა და რაიფინგანის ორგანოებს არაუგვიანეს 15 ივნისისა კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, მოთანგარიშის ან ბუხჰალტრის ხელმოწერით;

გ) გადასინჯონ დამზადებათა სამინისტროს და საფინანსო ორგანოებში წარდგენილი სიები და დაუყოვნებლივ განთავისუფლონ დამატებით გადასახადისაგან ის მეურნეობები, რომელთაც არასწორად შეუფარდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სახელმწიფოსათვის ხორცის სავალდებულო ჩაბარების გადიდება, ამასთანავე 50 პროცენტით გაუდიდონ გადასახადი იმ მეურნეობებს, რომელთა ოჯახის ცალკეულმა შრომისუნარიანმა წევრებმა არასაპატიო მიზეზით არ გამოიმუშავეს შრომადღეების დაწესებული მინიმუმი;

დ) მიაღწიონ იმას, რომ ახსნა-განმარტებისა და კანონის ზუსტად გატარების საფუძველზე განამტკიცონ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინა, რათა ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე აქტიურად მონაწილეობდეს საკოლმეურნეო შრომაში და აუცილებლად ასრულებდეს შრომადღეების დაწესებულ მინიმუმს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ამხ. ქერქაძე) საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს (ამხ. ჩხეიძე) და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რუსეთისა და საქართველოს სსრ-ში (ამხ. კავილაძე) პერიოდულად შეამოწმონ ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული კანონის შესრულების მიმდინარეობა და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

3. რჩევა მიეცეთ აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს შეამოწმონ როგორ ტარდება ცალკეული რაიონების კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-6 მუხლი და დასახონ საჭირო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

4. დაევალოს აბაშის, მაიაკოვსკის, კასპისა და მცხეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ 1955 წლის 31 დეკემბრისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე — **ლ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 21 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. „მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 27 ივნისის დადგენილების არადამაკმაყოფილებლად შესრულების თაობაზე

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის მოადგილის ამხ. ბ. ვ. აკიმენკოს მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 27 ივნისის დადგენილება — „მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ — შესრულების შეიოწმების შედეგებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საძხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, სტალინირის, ზნაურის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, სახტოდის, ყვალეტუბოსა და მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ აღნიშნულ დადგენილებას და რიგ შემთხვევაში, ნაცვლად იმისა, რომ აღმოფხვრან მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, კვლავაც უშვებენ უხეშ დარღვევებს ამ საქმეში.

თელავის რაიაღმასკომში 1955 წლის მაისიდან 20 სექტემბრამდე შესულ 374 საჩივრიდან და განცხადებიდან დაწესებული ვადების დარღვევით განხილულ იქნა 58, ანუ 15,5%, ხოლო წყალტუბოს რაიაღმასკომში (თავმჯდომარე ბ. ვ. გაგოშიძე) მიმდინარე წლის 8 ოქტომბრისათვის — 144-დან — 21, ანუ 14,6%.

მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ვადების დარღვევას ადგილი ჰქონდა საძხრეთ ოსეთის ა/ო აღმასკომში, აგრეთვე გურჯაანის, მცხეთის, სიღნაღის, სტალინირის, ზნაურისა და სამტრედიის რაიაღმასკომებში, აფხაზეთის ასსრ განთლების სამინისტროსა და სახალხო განთლების ცალკეულ ადგილმბრივ ორგანოებში.

სამხრეთ ოსეთის ა/ო აღმასკომსა და ზოგიერთ შემოწმებულ აღმასკომში ჯერ კიდევ ჭიანურდება ცალკეული საჩივრებისა და განცხადებების განხილვა, რის გამოც მშრომელები თავის დროზე ვერ ღებულობენ პასუხს და იძულებული ხდებიან თავიანთი კახონიერი მოთხოვნილებების გადასაწყვეტად მიმართონ ზემდგომ ორგანოებს.

აღრიცხვის მოუწესრიგებლობის, აგრეთვე იმის გამო, რომ არ არსებობს კონტროლი საჩივრებისა და განცხადებების მსვლელობაზე, სტალინირისა და გურჯაანის რაიაღმასკომებში დაიკარგა თითო განცხადება, ხოლო თელავის რაიაღმასკომში არ იცოდნენ იმ 114 საჩივრის და განცხადების განხილვის შედეგები, რომელნიც მან 1955 წელს გადაუგზავნა გასასახელელად დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მათ შორის 60 განცხადება გადაგზავნილი იყო ჯერ კიდევ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში.

მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმის გაუმჯობესებისა და აღნიშნულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელებს უახლოეს დროში შეამოწმონ მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა და უზრუნველყონ „მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 27 ივნისის დადგენილების აუცილებელი განხორციელება.

2. გაფრთხილება მიეცეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, სტალინირის, ზნაურის, თელავის, წყალტუბოს, გურჯაანის, სიღნაღისა და მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს, რომ თუ ისინი გადაჭრით არ გააუმჯობესებენ და არ აღმოფხვრიან მშრომელთა განცხადებების და საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, დისციპლინური ზომა მათი სასტიკად დასჯის შესახებ.

3. ერჩიოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეამოწმონ ავტონომიურ რესპუბლიკების დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობა და დასახონ ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე — **ლ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 21 ნოემბერი.

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-26 მუხლში დამატების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 14 მარტის ბრძანებულების შესაბამისად „სახალხო სასამართლოების დაქვემდებარებიდან ისეთი საქმეების ამოღების შესახებ, რომლებიც აღიძვრის სახელმწიფო, კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დავათა გამო ათას მანეთამდე თანხის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26 მუხლს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა: „შენიშვნა: საქმეები სახელმწიფო, კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის დავათა გამო ათას მანეთამდე თანხის თაობაზე, სასამართლოებს საწარმოებლად არ ექვემდებარება.

აღნიშნულ დავებს გადაწყვეტენ მოვალის მიმართ ზემდგომი ორგანოები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე — **ლ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 21 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ბრძანებულება თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრისათვის ს. გ. შაუმიანის სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილდეს თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის თხოვნა თბილისის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრისათვის ს. გ. შაუმიანის სახელის მიკუთვნების შესახებ და სომხური დრამის თეატრს ამიერიდან ეწოდოს „თბილისის ს. გ. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ს. როსტიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1955 წ. 6 დეკემბერი.